№ 178 მთავრობის მოამგე ოფიციალური ნაწილი წელიწადი მესამე

საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. სანგარეში, აგვისტოს 10 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უოფიციალური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხადებუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა

მასწავლებელთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ კურსების გახსნა სხვა და სხვა მიზეზების გამო

გადადებულია 1 სექტემბრისათვის,

რაზედაც ეცნობება მასწავლებლებს.

808 1—1 გამგეობა.

დუშეთის სამაზრო ერობის გამგეობა

სთხოვს სკოლების ინსტრუქტორს ექვთიმე მიქელაძეს ფრიად საჭირო და სასწრაფო საქმეების მოსაგვარებლათ გამოცხადდეს ერობაში. უკიდურეს შემთხვევაში ვსთხოვთ გვაცნობოს თავისი მისამართი.

808 1 1 გამგეობა.

ოფიციალური განყოფილება.

დ ე კ რ ე ტ ი

დაბა ყაზბეგში გენერალი გიორგი ყაზბეგისაგან მამულისა, შენობებისა და ინვენტარის შესაძენად 1.100.000 მან, გადადებისა.

1. გაცემულ იქნეს სახელმწიფო ბაზინიდან სამხედრო მინისტრის განკარგულებისათვის ერთი მილიონი ასი ათასი (1.100.000) მანეთი დ. ყაზბეგში გენერალ გიორგი ნიკოლოზის ძე ყაზბეგისაგან ჯარის საჭიროებისათვის მამულისა, შენობისა და ინვენტარის შესაძენად.

2. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1920 წ. აგვისტოს 3-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე **ევგ. გეგეჭკორი.**

განკარგულება

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.

3 ივლისი, 1920 წ. № 227.

განთავისუფლებულ იქმნას სრულიად სამსახურიდან თანახმად თავის თხოვნისა სახელმწიფო ბანკში საქმის მწარმოებლად დანიშვნის გამო, საბაჟო ნაწილის მდივანი სევერიანე სამსონის ძე კეკელიძე ამა წლის აგვისტოს პირველიდგან.

4 აგვისტო 1920 წ., № 228.

დაინიშნოს: საკრედიტო განყოფილების ბუხჰალტრად ნიკოლოზ პავლეს ძე მუზიკო ამა 1920 წლის 1 აგვისტოდან.

5 აგვისტო, 1920 წ. № 229.

დაინიშნოს: საქაქიზო სამმართველოს უფროსის თანაშემწე სპირიდონ იოსების ძე ბაქრაძე იმავე სამმართველოს უფროსად ამა 1920 წლის 1 აგვისტოდან.

№ 230.

დაინიშნოს: ფინანსთა და ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს კანცელარიის საქმის მწარმოებელი ნესტორ გიორგის ძე ღამბარაშვილი საქაქიზო სამმართველოს უფროსის თანაშემწედ ამა 1920 წლის 1 აგვისტოდან.

7 აგვისტო, 1920 წ., № 231.

დღეის რიცხვიდან სამსახურის გამო მივემგზავრები ქ. ბათომში. ჩემი მოვალეობის აღსრულება ევალება ვაჭრობა-მრეწველობის დეპარტამენტის დირექტორს ეპიფანე ნესტორის ძე ალშიბაიას.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი

ს. ავალიანი.

ცირკულიარი

დაწესებულებათა უფროსთ

მომარაგების სამინისტრო მაცნობებს, რომ მეტად გახშირებულა საფოსტო ამანათებით ყოველგვარ ხორბლეულობის და ფქვილის ადგილებიდან გაზიდვა უმთავრესად სასპეკულიაციო მიზნით. რაც ხელს უშლის სამინისტროს ხორბლის სათანადო მარაგის დამზადებაში.

წინადადებას გაძლევთ ამ ცირკულიარის მიღებისთანავე სავსებით აღკვეთოთ ხორბლეულიანი და ფქვილიანი ამანათების მიღება-გზავნა. № 5031. **მგელაძე.**

ზუსტი და ხარჯთ-აღრიცხვა

თელავის ქალაქის მილიციისა.

დამატება № 6.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და გასაწევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი.		ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე.
			თვითეულს.	ყველას.	
1	მილიციის უფროსი	1	2500	2500	12500
2	მისი თანაშემწე	2	2200	4400	22000
3	საქმის მწარმოებელი	1	1800	1800	9000
4	უფროსი მილიციელი	2	1600	3200	16000
5	უმცროსი მილიციელი	35	1500	52500	262500
6	დარაჯი	1	1100	1100	5500
7	ბაზრის ზედამხედველი	2	1800	3600	18000
8	საკანცელარიო ხარჯი	—	—	2000	10000
	სულ	44	—	71100	355500

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

ზუსტი და ხარჯთ-აღრიცხვა

სიღნაღის ქალაქის მილიციისა.

დამატება № 6.

№№ რიგზე.	თანამდებობათა და გასაწევი ხარჯის სახელწოდება.	თანამდ. პირ. რიცხვი.	თვიური ჯამაგირი.		ყველას 1920 წ. იანვრის 1-დან ივნისის 1-მდე.
			თვითეულს.	ყველას.	
1	მილიციის უფროსი	1	2500 —	2500 —	12500 —
2	მისი თანაშემწე	2	2200 —	4400 —	22000 —
3	საქმის მწარმოებელი	1	1800 —	1800 —	9000 —
4	უფროსი მილიციელი	1	1600 —	1600 —	8000 —
5	უმცროსი მილიციელი	20	1500 —	30000 —	150000 —
6	გათბობა-განათება	—	— —	625 —	3125 —
7	საკანცელარიო ხარჯი	—	— —	166 67	833 35
8	ბინის ქირა	—	— —	220 —	1100 —
9	მილიციის სამოსი	—	— —	4166 67	20833 35
	სულ	25	— —	45478 34	227391 70

1920 წ. ივლისის 6-ს.

დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი **ალ. ლომთათიძე.**

რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე **ნ ჟორდანია.**

არა ოფიციალური განყოფილება

ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამართველოს უფროსის ოფიციალური განმარტება.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ მე-177 და ერთობის“ მე-178 ნომრებში მოთავსებულია ცნობა—გზათა დეპარტამენტში—სათაურით: „ბოროტმოქმედება ხორბლის გადატანის დროს“, სადაც სხვათაშორის სწერია: სპეკულიანტებმა გამონახეს გამოსავალი ამ მდგომარეობიდან და პურის ბარგს ფოჩტით აგზავნიდენ, რის გამო საფოჩტო ვაგონები პურის და ხორბლის ბარგით ივსებოდა“. ვინაიდან ეს მოვლენა არსებითად არის პურის და ხორბლის გადატანის შეზღუდვის შესახებ გამოცემულ დადგენილებათა დარღვევა, საჭიროა სათანადო განკარგულების გამოცემა მის საფოსტო ვაგონებით გზავნის აღკვეთის შესახებ“.

სამმართველო აღნიშნავს, რომ გზათა დეპარტამენტი ამ მოხსენების ბ. შინაგან საქმეთა მინისტრისთვის წარდგენის დროს საქმეს არ ყოფილა გაცნობილი.

მთავრობის სათანადო დადგენილების გამოტანამდე საფოსტო ვაგონებით ხორბლეულობა იგზავნებოდა საერთო წესის დაცვით. მაგრამ, როდესაც ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ მიიღო მომარაგების სამინისტროსაგან წარსულ 21 ივლისის № 2228|17443 ტელეფონოგრამა შესახებ იმისა, რომ მისი სასურსათო გეგმის განსახორციელებლად საჭიროა აღიკვეთოს საფოსტო ამანათებით ფქვილის და ხორბლეულობის გზავნა, მეორე დღესვე ე. ი. 22 ივლისს გასცა ცირკულიარული განკარგულება № 6031 ხელქვეით დაწესებულებისადმი, ცირკულიარის მიღებისთანავე ხორბლეულიან და ფქვილიან ამანათების მიღება-გზავნის სავსებით აღკვეთის შესახებ.

ასე რომ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მხრივ ხორბლეულობის გადატანის შეზღუდვის შესახებ გამოცემულ განკარგულებათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია და ასეთი ცნობების გაზეთში გამოქვეყნება მიეწერება მხოლოდ გზათა დეპარტამენტის სუსტ ინფორმაციას.

თანდები: ასლი № 5031 ცირკულიარისა.

სამმართველოს უფროსი **მგელაძე.**

შინაგან საქ. სამინისტროში

სახელმწიფო ენა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ფოსტა-ტელეგრაფის უწყებას, რომ დააჩქაროს საქმის წარმოების სამშობლო ენაზე განხორციელება. ამასთანავე უწყებას მიეცა წინადადება, რომ შედგენილ იქმნას ქართულ ენაზე საჭირო ტერმინოლოგია და გადმოთარგმნილ იქმნას სახელმწიფო ენაზე საფოსტო-სატელეგრაფო და სატელეფონო წესდება, მომავლისათვის ცირკულიარები, ინსტრუქციები და სხვა განკარგულებანი და აგრეთვე ყოველგვარი საქმე სახელმწიფო ენაზე იქნას წარმოებული.

ქალაქის შუამდგომლობა.

რესპუბლიკის ზოგიერთმა ქალაქმა და მათ რიცხვში ბორჯომმა, სამტრედიამ, ახალ-სენაკმა, ხონმა და სხვა ქალაქებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეს შუამდგომლობით წარსული წლის ხარჯთაღრიცხვის დეფიციტის დასაფარავად სესხის მიცემის შესახებ. შუამდგომლობა უარყოფილ იქმნა და ამასთანავე ეუწყათ, რომ მთავრობის სესხი მიეცემათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მათი სავაჭრო-სამრეწველო მიზანი მოითხოვს.

განათლების სამინისტროში

სამასწავლო კურსები.

სახალხო განათლების სამინისტროდან იუწყებიან, რომ უწყების მიერ გახსნილია სამოსწავლო კურსები შემდეგ ადგილებში: თელავში, სიღნაღში, ზუგდიდში, ლეჩხუმისა და რაჭის მაზრაში, ქუთაისში, ზესტაფონში და ტფილისში. გარდა ამ კურსებისა ტფილისში გახსნილია კურსები მაჰმადიანთათვისაც. ვეშტაშენში გახსნილია კურსები ბერძენთათვის, ტფილისში ფრანგული კურსები არის გახსნილი. თანხვად მიღებულ ცნობებისა ზესტაფონის სამასწავლებლო კურსები 28 მარტიელს უკვე დაუსრულებია.

მომარაგების სამინისტროში

ხორბლეულობის გადაზიდვის აღკრძალვა.

მომარაგების სამინისტრომ დაავალა სასურსათო განყოფილებას ადევნოს თვალყური ტფილისიდან პურის გაზიდვას. ხორბლეულობ-

ბა, რომლის გატანასაც შეეცდებიან ქალაქის ფარგლების გარეშე და ამ ცდის დროს დააკავებენ, სასურსათო განყოფილების საწყობებში იქნება წარმოგზავნილი.

დამფუძნებელი კრება

6 აგვისტოს სხდომა

თავმჯდომარეობს **ხ. ზდივნი.**

ივ. გომართელი მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა ტფილისისა და სოხუმის დროებით საგანგებო სასამართლოს გაუქმების შესახებ.

მისივე მოხსენებით მოხდა პირველი განხილვა კანონ-პროექტისა—ახალქალაქის 50 საწოლიანი და ახალქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთის და ოკამის ამბულატორიების შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით განხილულ და მიღებულ იქნა დეკრეტი—დაჭრილ-დასახიჩრებულთა და ომში დახოცილთა ოჯახების უზრუნველყოფისათვის 5 მილ. მან. გადადების შესახებ.

ლ. ნათაძე მოახსენებს კრებას კანონ-პროექტს სასოფლო მეურნეობის საშუალო და დაბალი განათლების ორგანიზაციის შესახებ. მომხსენებელი აღნიშნავს სასოფლო-სამეურნეო სკოლების დიდ საჭიროებას ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად ასაღორძინებლად და ამბობს: განზრახულია სულ 4 ტიპის სამეურნეო სკოლის გახსნა-მოწყობა: 1) საშუალო სკოლა. ასეთი სკოლა ერთი უკვე არსებობს ტფილისში, საშუალო კულტურულ-ტექნიკურ სასწავლებლის სახით, მეორე უნდა გაიხსნას ქუთაისში. იქ არსებული ფერმის სკოლა გადაკეთებულ იქნება საშუალო სასწავლებლად. ყველა კუთხეში უნდა გახსნილ იქნას (საერთო გეგმის მიხედვით) ისეთი საშუალო სამეურნეო სასწავლებელი, რომელიც ამ კუთხეს შეეფერება, საშუალო სამეურნეო სასწავლებელში მიიღებიან უმაღლეს პირველ დაწყებით სასწავლებელში კურს დამთავრებულნი.

2) მეორე ტიპის სასწავლებლები დროებით უნდა იყოს. სოფელს ყაკს ისეთი პირნი, რომლებსაც უმაღლეს პირველ დაწყებითი სასწავლებლები არ გაუთავებიათ, მაგრამ პირველ დაწყებითი სასწავლებელი კი გათავებული აქვთ. იმათთვის განზრახულია დროებითი ტიპის სასწავლებლების გახსნა სხვა და სხვა ადგილას. ეს სასწავლებელი დროებითია იმიტომ, რომ როცა საყოველთაო სავალდებულო სწავლა განათლება ცხოვრებაში იქნება გატარებული, მაშინ ასეთი ტიპის სასწავლებელი საჭირო აღარ დარჩება, რადგანაც რვა წლიანი სასწავლებლის დასრულების შემდეგ მოწაფე პირდაპირ გადავა საშუალო სასწავლებელში.

მესამე ტიპის სასწავლებელი იხსნება იმათთვის, ვინც წერა-კითხვა იცის, ხოლო სასწავლებელი არ გაუთავებია. მათ სჭირია მეურნეობის რომელიმე სპეციალფრი დარგის შესწავლა, მაგალ. მეღვინეობის, მევენახეობის და სხვა ასეთი სასწავლებლები იქნება ან ერთი წლიანი, ან ორი, ან სამი წლიანი. რადგანაც სხვა და სხვა დარგის შესწავლა სხვა და სხვა დროს მოითხოვს, დრო განსაზღვრული არ არის. ასეთი სასწავლებლები განსაკუთრებით გაიხსნება ისეთ ადგილებში, სადაც სახელმწიფოს, ან ერობებს აქვს მამულები. მეოთხე ტიპის სკოლა—კურსებია.

ივ. ლორთქიფანიძე (ს.-რევ.). წარმოდგენილ კანონ-პროექტს აღიარებს სერიოზულ და დიდ მნიშვნელოვან საკითხად. ის მოითხოვს, რომ ყველა ტიპის და ხასიათის სასწავლებლები დაუქვემდებარდეს სახალხო განათლების სამინისტროს. ის წინააღმდეგია იქნეს გახსნილი 4 ტიპის სამეურნეო სასწავლებელი და მოითხოვს, რომ გახსნილ იქნას მხოლოდ ორი ტიპის სასწავლებელი: საშუალო და დაბალი—პრაქტიკული სკოლა. საშუალო ჯერ-ჯერობით უნდა იყოს მხოლოდ ერთი, ისიც ტფილისში, რადგანაც პროვინციებისათვის საჭირო ძალები არ მოგვეპოვებაო. მომხსენებელის საპასუხო სიტყვის შემდეგ დადგენილ იქნა მუხლობრივი განხილვა სათანადო ვადის გასვლის შემდეგ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ფოთის რადიო-სადგურისათვის შენობის ასაგებათ 1 მილიონი მანეთის გადადებისა.

ივ. ლორთქიფანიძის და ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. გუდაუთის თვითმართველობისათვის 500000 მ. სესხის მიცემისა.

ხ. ახმეტელაშვილის და ვ. ცაბაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი კულტურულ მამულების ყოფილ მესაკუთრეთათვის ჩამორთმეულ ინვენტარის საფასურის ასანაზღაურებლათ 97698 მან. გადადებისა.

მათ ვე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ტფილისის აბანოების ყოფილ მესაკუთრეთა დ საკმაყოფილებლათ და ანანოვისათვის ჩამორთმეული მამულის „ვარციხის“ ინვენტარისა და ღვინის საფასურის ასანაზღაურებლათ 2172409 მან გადადებისა.

ვ. თევზაია და პ. წულაია მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი კახეთის რკინის გზის საზოგადოებისათვის 10 მილიონი მან. სესხად მიცემისა.

კ. ჯაფარიძის და თევზაიას მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი პოლონეთში გასაგზავნ მისიის საჭიროებისათვის 3 მილიონი მანეთის გადადებისა.

ივ. ლორთქიფანიძის და ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გორის თვითმართველობისათვის 3 მილიონი მან. სესხის მიცემისა.

ზ. რუხიას და ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სოხუმის თვითმართველობისათვის 4 მილ. მან. სესხის მიცემისა.

ზ. რუხიას და ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ხაშურის თვითმართველობისათვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა.

დავ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი გორის მაზრის ერობისათვის 20 მილ. მან. სესხის მიცემისა.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეგორის თვითმართველობისათვის 14400400 მ. სესხის მიცემისა.

ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი შინა დასახლებულთა დასახმარებლათ სესხის სახით 36 მილიონ მან. მიცემისა.

დ. ონიაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი აფხაზეთის მაზრების სასოფლო მილიციის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ბათომისა და ბათომის ოლქის მუშა-მოსამსახურეთათვის პირველი მოთხოვნილების საგნების მისაწოდებლათ 100 მილიონი მან. გადადებისა.

ი. ფიჩხალაშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რუსეთში გასაგზავნ მუშათა დელეგაციის საჭიროებისათვის 8 მილ. მან გადადების შესახებ.

ივ. ლორთქიფანიძის და ივ. გომართელის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის-გზის მუშა-მოსამსახურეთათვის დაკლებულ ფასებში პურის მისაწოდებლათ 140 მილიონ მან. გადადების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მილებულ იქნა დეკრეტი—„დედობისა და ბავშობის“ საზოგადოებისათვის — დახმარების აღმოჩენის შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებული იქნა დეკრეტი რეგულიარული ჯარისა და სახალხო გვარდიელ მოსამსახურეთათვის ერთდროული დახმარების აღმოჩენისა.

კრება გადავიდა ესერების შეკითხვაზე, სიტყვა მიეცა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანახს პ. ქიჯინაძეს, რომელმაც მხოლოდ დაიწყო ლაპარაკი. 3 ს. 10 წ. უქვორუმობისა გამო სხდომა დაიხურა.

ქართველების მდგომარეობა ყირიმში

ყირიმში მყოფ ქართველების ცენტრალურ ეროვნულ კომიტეტის თავმჯდომარე ვ. ი. ბელიხიძე ყირიმიდან ტფილისში დაბრუნდა. მის მოსვლის მიზანს შეადგენს გაუკეთოს მთავრობას მოხსენება ყირიმში მყოფ ქართველების მდგომარეობის შესახებ. ბ. ბელიხიძე იტყობინება, რომ ყირიმში ამ ჟამად სცხოვრობს 1000 ქართველი, რომელთაგანაც ბევრს უნდა სამშობლოში დაბრუნება, მაგრამ ამაში ხელს უშლის მათ მიმოსვლის სიძვირე. დაახლოვებით მიმოსვლა 100 ათასი მანეთი ჯდება და ეს გამოწვეულია მით, რომ ყირიმის ფულის კურსი ძლიერ დაცემულია.

საქართველოს პროლეტარიატის შეხედულება სომხეთზე

აგვ. 7, ქალ. ტფილისის ცენტრ. პროფეს. კავშირთა პლენარულ სხდომაზე სომხეთის ამბების შესახებ რიგს გარეშე განცხადებით გამოვიდა საბჭოს თავმჯდომარე ა. ხელაძე.

— მე ვფიქრობ—სთქვა ა. ხელაძემ ტფილისის პროფეს. კავშ. საბჭოს არ შეუძლიან ხმა არ ამოიღოს იმ საშინელი სისხლის ღვრისა, განადგურებისა ბ ხოცვა-ყლეტის შესახებ, რომელიც ხდება დატანჯულ ბ სისტემატიურ სისხლის ღვრით გამოფიტულ სომხეთში ადერბეიჯანის საბჭედრო ნაწილების მიერ, რომლებიც სომხეთს უტევენ (ზანგეზურში, ყარაბახში და სხვა). ამ ქვეყნისა და მის დემოკრატიისათვის მოგვაქვს სიკვდილი და განადგურება. ადერბეიჯანის „წითელი“ რაზმები თავის ახალ მოკავშირე ოსმალეთის ნაციონალისტებთან ერთად სცდილობენ გაარღვიონ სომხეთის ფრონტი. მაგრამ შეერთება ამ ძალებისა, ე. ი. ქემალისტებისა და წითლებისა შესაძლებელია მხოლოდ მუშათა და გლეხთა გაღლეტითა და განადგურებით. მხოლოდ სომხეთის დემოკრატიის გვიმეზზე გადავლით შეუძლიანთ მათ შეაკავშირონ თავისი ძალები. მაგრამ რად ხდება ეს, რა მიზნით ნადგურდება სომხეთის სოფლები და ქალაქები. სად არის დეკლარატიული დაპირებანი ბალშევიკებისა, რომ ისინი იცავენ პატარა ეროვნებათა ინტერესებს? ჩვენ ამ მოქმედებაში უცქერით „იტიხადისა“ და მუსავატელების პოლიტიკის გაგრძელებას. მათ სურდათ სომხეთის ფიზიკურად განადგურება. საშინელია სომხეთის ტრაგედია, რომელსაც შეუძლიან ცუდი შედეგი მოუტანოს არა მარტო სომხეთს, არამედ მთელ ამიერ კავკასიის დემოკრატიას. მე არ ვიცავ სომხეთში გაბატონებულ პარტიის პოლიტიკას, რადგანაც იგი სომხეთის დემოკრატიისათვის დამღუპველად მიმაჩნია, მაგრამ ამა თუ იმ პოლიტიკურ ხაზის გატარება შეუძლიან თვით სომეხ ხალხს სხვის და ჩაურევლად მარცხნიდან იქნება იგი, თუ მარჯვნიდან. ჩვენი ვალია პროტესტი განვაცხადოთ ადერბეიჯანის წითელი არმიის მოქმედების წინააღმდეგ. საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდმა პროტესტი უნდა გამოაცხადოს იმ ძალადობის წინააღმდეგ, რომელსაც სჩადიან სომხეთის პროლეტარიატზე. საქართველოს პროლეტარიატმა თავისი თანაგრძნობა უნდა გამოუცხადოს სომხეთის პროლეტარიატს.

საქართველოს

პროლეტარიატის პროტესტი.

ტფილისის პროფესიონალურ კავშირის საბჭომ მიიღო სომხეთისადმი ბალშევიკების დამოკიდებულების შესახებ შემდეგი რეზოლიუცია: ტფილისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭო ითვალისწინებს სომხეთ-ადერბეიჯანის ფრონტზე სისხლის მღვრელ ამბებს, აცხადებს ენერგიულ პროტესტს დიდი რევოლიუციით მონაპოვარ ერთა თვითგამორკვევის უფლების ბალშევიკების მიერ გაქელვის გამო. მუშათა კლასს, რომელიც სდგას საერთაშორისო სოლიდარობის თვალსაზრისზე, არ შეუძლიან გულგრილად უცქიროს, როდესაც ერს ხიშტებით ახვევენ თავზე ამა თუ იმ იდეას. წითელსა და შავს იმპერიალიზმს ჩვენ ვეუბნებით: კმარა სისხლი, ცრემლი, კმარა ანარქია, ნგრევა და მშრომელთა მასის ასი ათასობით ფიზიკურად განადგურება.

ძირს სამოქალაქო და იმპერიალისტური ომი!

გაუმარჯოს ყოველ სახელმწიფოთა მშრომელ ხალხს!

გაუმარჯოს სოციალიზმს.

მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესი

აგვისტოს 7 მოსკოვში, დიდ თეატრში მესამე ინტერნაციონალის მეორე კონგრესის უკანასკნელი საზეიმო სხდომა შესდგა. მოსკოვის პროლეტარიატი მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წარმომადგენელებს მიესალმა. სხდომა გახსნა კალინინმა, რომელმაც სთქვა: საბჭოთა რესპუბლიკის მუშები და გლეხები კმაყოფილნი არიან, ვინაიდან დღევანდელმა კონგრესმა რამდენიმეთ განიხილა ის პოლიტიკური პასუხისმგებლობა, რომელიც ამდენიხანს მხოლოდ რუსეთის მუშათა კლასს და კომუნისტურ პარტიას აწვა თავს. ჩვენ ვიცოდით და იმედი გვქონდა, რომ რუსეთის პროლეტარიატის და გლეხების რევოლიუციონური ენერგიას საერთაშორისო პროლეტარიატი გააძლიერდებდა და ჩვენ მივიღებდით ამ დახმარებას. შემდეგ გამოვიდა შოტლანდიის მუშების და ფინლიანდიის კომუნ. პარტიმს წარმომადგენლები გალახური და მეერი, რომლებმაც ილაპარაკეს ინგლისის ახალ თავდასხმაზე და მას მძარცველი და დამმონავებული უწოდეს. პოლონეთის კომუნისტურ პარტიის სახელით გამოვიდა რადეკი, რომელმაც სთქვა: პოლონეთის ბურჟუაზიის განწირული ხმა მომასწავებელია იმისა, რომ მას ემუქრება არა მარტო წითელი არმია, არამედ, საკუთარი პოლონეთის მუშათა კლასიცო. დიდი სიტყვა წარმოსთქვა ტროცკიმ, რომელსაც მთელმა თეატრმა ოვაციები გაუმართა. დაახასიათა რა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის მდგომარეობა ტროცკიმ იღნიშნა, რომ ინგლისსა ბ ამერიკას შორის დიდი უთანხმოება არისო. შეეხო რა ევროპის ეკონომიურ აღორძინებას ტროცკიმ განაცხადა: ევროპის ეკონომიური აღორძინებბ ისე, თუ მას არ ექნება რუსეთის ნედლი მასალა და რუსეთის პური, შეუძლებელია. არ შეიძლება ევროპის ეკონომიური აღორძინება აგრეთვე ისე, თუ ამ აღორძინებაში არ მიიღო მონაწილეობა გერმანიის ტეხნიკამ და გერმანიის მუშათა კლასმაო. და ბოლოს გამოვიდა ზინოვიევი, რომელმაც აღნიშნა რომ მუშების გაერთიანებისაკენ ლტოლვა მსოფლიო ისტორიის უდიდესი ფაქტორი არის. ამაშია კომუნისტური ინტერნაციონალის მთავარი ძალა. მესამე ინტერნაციონალი ყველა კეთილ სინდისიერ პროლეტარულ რევოლიუციონურ ორგანიზაციებს ფართოდ უხსნის კარებსო.

უცხოეთი

(საინფორ. ბიუროს ცნობები).

სომხეთში.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ პარლამენტის სხდომაზე ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა სომხეთის მთავრობის მოღვაწეობისა და საერთოდ რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ. ამ უკანასკნელ თვეებშიო—განაცხადა პრემიერმა,—მოხდა ბევრი ისეთი ამბავი, რომელსაც საბედისწერო მნიშვნელობა ქონდა სომხეთისათვის. რესპუბლიკა დაღუპვის კარზე არის, მაგრამ დაიხსნა იგი ხალხმა, რომელმაც გამოიჩინა არაჩვეულებრივი სიცოცხლის უნარი. ხალხი, როგორც კი განთავისუფლდება მძიმე ავადმყოფობისა და შიმშილისაგან, შეუდგა ტიტანიურ მუშაობას. მთავრობამ მიზნათ დაისახა მიწის დამამუშავებლებისათვის სათესლეს მიწოდება. ამის წყალობით ყანები დაითესა. გმირობის წყალობით სომხეთის ჯარი ყოველგვარ გაჭირვებისაგან გამარჯვებული გამოვიდა. მთავრობის თავმჯდომარე ვრცელათ აღნიშნავს რესპუბლიკის სამხედრო მდგომარეობას ამ უკანასკნელ თვეებში და დასძენს, რომ სომხეთის საწინააღმდეგო ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ადერბეიჯანის ჯარები და ოსმალეთის ჯარის ნაწილები. ახლა სომხეთს ემუქრება არა მარტო ადგილობრივი შეკავშირებული ძალა, არამედ წითელი რუსეთის სამხედრო ძალები და აგრეთვე სამხრეთიდან მოსული ოსმალეთის სისხლით შეღებილი ნაწილები. ეს ძალები შეერთდა სომხეთის გასანადგურებლად. მაგრამ სომხეთის ხალხი არ შეუდრკება არავითარ გაჭირვებას და დაიცავს თავის დამოუკიდებლობას, ჩვენი ჯარების გამარჯვება უეჭველია. ეს ესაა მივიღე ცნობა, რომ ზანგეზურში ჩვენმა ჯარმა მტერი გარეკა. სომხეთის სამხედრო მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და იმის იმედიცა არის, რომ სომხეთის ხალხი შესძლებს, როგორც შინაურ, აგრეთვე გარეშე მტრების დამარცხებას.

შეერთებული შტატები.

შეერთებულმა შტატებმა ბრიუსელის საერთაშორისო ფინანსიური კონფერენციაში ოფიციალურად მონაწილეობის მიღებაზე უარი განაცხადეს.

მიღებულ ოფიციალურ ცნობის თანახმად, იაპონიის ჯარს დაუკავებია რუსეთის ზღვის პირის პროვინცია. აგრეთვე დაუკავებიათ ადგილები ვლადივასტოკის ახლო-მახლოო.

ჩეხო-სლოვაკია და რუსეთი.

ჩეხო-სლოვაკიის წითელი ჯვრის თავმჯდომარემ ალისა მასარიკმა მოსკოვში რადიოთი პროტესტი გაგზავნა ჩეხო-სლოვაკიაში რუსეთის წითელი ჯვრის მისიის მოქმედების გამო. მასარიკი აცხადებს: რუსეთის მისიის წევრები გვერდს უხვევენ თავის პირდაპირ მოვალეობას და ან ვაჭრობენ, ან კიდევ პროპაგანდას ეწევიანო. ჩეხო-სლოვაკიის წითელი ჯვარი მოითხოვს, რომ მისიამ იმუშაოს მხოლოდ სამხედრო ტყვეების რუსეთში გაგზავნის საქმეების მოსაწესრიგებლად.

გერმანიაში.

„ლეიპციგირ დაგებლატი“ იუწყება, რომ ლეიპციგის მმართველობაში შევიდა 1012 საქმე ომიანობის დროს ჩადენილი დანაშაულობათა შესახებ. ამ სიაში აღნიშნულია 886 პიროვნება, რომლებიც მოკავშირეთა სახელმწიფოების ქვეშევრდომებათ ითვლებიან. გენერალურმა პროკურორმა მოკავშირეთა სახელმწიფოების საგარეო სამინისტროებს წი-

ნადადებით მიმართა წარმოადგინოს იმ პირთა გასამართლებელი საბუთები, რომელთაც სხვა და სხვა დანაშაულის ჩადენა ბრალდებათ. ამ საქმეების გარჩევა მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც ყველა საჭირო მასალა შეიკრიბება.

საქონლის შეტანა ინგლისში.

თანახმად ოფიციალურ ცნობებისა საქონლის შეტანა დიდ ბრიტანეთში ივნისის განმავლობაში შედარებით 1919 წელთან $17^1/_2$ მილ. გირ. სტერლინგით და გატანა კი თითქმის 52 მილ. სტერლინგით გადიდებულა.

სომხეთი და ამერიკა,

ადგილობრივ სომხურს პრესას მოყავს ამერიკელ დემოკრატების კონგრესის თავმჯდომარის სენატორ რობინსონის სიტყვა ამერიკის პოლიტიკის შესახებ: თუ შეერთებულმა შტატებმა, სთქვა რობინსონმა, უარი განაცხადა ხალხთა ლიგის დაცვაზე, ევროპის სამართლიან საყვედურს დაიმსახურებს. სომხეთის შესახებ რობინსონმა განაცხადა, რომ ამერიკას არა აქვს უფლება უარყოს სომხეთის მანდატი, კიდევ მეტიო, ხაზი გაუსვა ორატორმა, ამერიკა მოვალეა მოკავშირეებთან ერთად სომხეთი ჩიხიდან გამოიყვანოსო.

ახალი ამბები

მადლობა პოლკ. ჰასკელს. მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ გრ. ლორთქიფანიძემ ამერიკის ახლო აღმოსავლეთის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს პოლკ. ჰასკელს მიმართა ბარათით, რომელშიც იგი სწერს: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა აღნიშნავს რა თქვენ ენერგიულ მუშაობას, გთხოვთ მთავრობის სახელით მიიღოთ გულითადი მადლობაო“.

საქართველოს მისია პოლონეთში. საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლად პოლონეთში ნაფიცი ვექილი სიდამონი—ერისთავი დაინიშნა. საქართველოს მისია პოლონეთში ამ მოკლე ხანში გაემგზავრა. პირველ მრჩეველად დანიშნულია გრ. ბაქრაძე.

პურის ფოსტით გადაგზავნის აკრძალვა. ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ყველა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებას განკარგულებით მიმართა მიიღონ ყოველგვარი ზომები და არ დაუშვან ფოსტით პურის პროდუქტების (ფქვილის, ხორბლის) გადაგზავნა.

აბრეშუმის კონტრაბანდით გატანა. მომარაგების სამინისტროს მთავარი რწმუნებული ქუთათელაძე ატყობინებს სამინისტროს იმის შესახებ, რომ სხვა და სხვა შემყიდველებს დამზადებული აბრეშუმი სოხუმიდან, ოჩემჩირიდან, ფოთიდან და ბათომიდან კონსტანტინოპოლში კონტრაბანდათ გააქვთო. მთავარი რწმუნებული თხოულობს იქნეს მიღებული ყოველგვარი ზომა ასეთ მოვლენის წინააღმდეგ. ამისათვის კი მისი აზრით საჭიროა აკრძალვა აბრეშუმის რკინის გზებზე გადატანისა, თუ გადამტანელს არ ექნება სათანადო განკარგულება და აბრეშუმის გატანაზე ზედამხედველობის გაძლიერება.

პურის გაიაფება. ქალაქის თვითმმართველობის სასურსათო განყოფილება აღნიშნავს რომ ხორბალზე ფასი თანდათან ეცემა. მეათე რაიონში შენიშნულია, რომ ერთ გირვანქა შავ პურზე ფასი 5 მანეთით დაეცა.

მარილი მცხოვრებთათვის. სასურსათო განყოფილებამ მცხოვრებთა საჭიროებისათვის 3 ვაგონი მარილი შეიძინა. აქედან ერთი ვაგონი უკვე გადავიდა განყოფილების განკარგულებაშიო.

კოოპერატიული ცხოვრება. მხატვრების, ექიმების, ვექილების, ჟურნალისტების და სხვ. თავისუფალ პროფესიის პირთა ერთი ჯგუფის მიერ არსდება მომხმარებელი საზოგადოება „ახალი კოოპერატივის“ სახელწოდებით. ეს კოოპერატივი მხოლოდ თავისუფალ პროფესიის პირებს აღმოუჩენს დახმარებას. შედგენილია წესდება, რომელიც უკვე წარდგენილია დასამტკიცებლად.

ხორბლის შეძენა. მეფურნეთა ამქრის რწმუნებულები სასურსათო განყოფილების აგენტებთან ერთად გაემგზავრენ ბორჩალოს მაზრაში ხორბლის შესაძენათ უშუამავლოდ პირდაპირ მწარმოებელთაგან.

რუსეთ-სომხეთის საზავო მოლაპარაკება. ტფილისში მოვიდა სომხეთის გზათა მინისტრი ა. ჯამალიანი, ა. ბაბალიანი და დ-რ იუზბაშიანი, რომელთაც საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელ ბ-ნ ლეკრანთან საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ რწმუნებულება აქვთ მინიჭებული.

სომხეთის დიპლომატიური მისიის ცნობა. საქართვ. არსებულ სომხეთა დიპლომატიური მისიის საინფორმაციო ბიურო იუწყება: ცნობა ადერბეიჯანის პარლამენტის წევრის ამასპიურის დახვრეტის შესახებ სიმართლეს არ შეეფერება ბ. ამასპიური ცოცხალია და ბაილოვის ციხეში ზის.

ბაქოდან გამახვლა. ადერბეიჯანიდან თითეულ პირს ნება ეძლევა გამოიტანოს არა უმეტეს 50,000 მან. უცხო ვალიუტის გამოტანა აკრძალულია, ასე რომ ამიერკავკასიის ბონების გამოტანა არ შეიძლება.

კავკავში. მიღებულ ცნობებით კავკავში დაუკავებიათ სომხეთისა და სპარსეთის საელჩოები მთელი თავისი შემადგენლობით.

მანქანების ყიდვის და გაყიდვის წესი. იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნით გზათა უწყების დეპარტამენტმა შეიმუშავა კანონ-პროექტი ავტომობილების და სხვა და სხვა დარგის მოტორებისა და მანქანების გაყიდვის შესახებ. კანონ-პროექტის ძალით ავტომობილების, მოტორების, სხვა და სხვა მანქანების, მექანიკური იარაღების და სხვათა გაყიდვა მხოლოდ ნოტარიული წესით შეიძლება. კერძოდ მანქანები შეიძლება გაიყიდოს წერილობითი ხელშეკრულობით, თუ დაცულ იქნება საქტო გადასახადების ყველა კანონი,

ქათალიკოზის საბჭოს შეკითხვა. ქათათალიკოზის საბჭომ ყველა სახელმწიფო დაწესებულებას მიმართა შეკითხვით: თუ რატომ არ იღებენ სახელმწიფო სამსახურში სახულიერო პირთ. ამ შეკითხვის საპასუხოდ ქათალიკოზის საბჭოს სახელმწიფო დაწესებულებებმა შემდეგი უპასუხეს: სამსახურში მ ღების დროს ჩვენ არ ვხელმძღვანელობთ იმით, თუ რომელ წოდებას ეკუთვნის მთხოვნელი ასე რომ სამსახურში მიუღებლობის მიზეზად არ შეიძლება ჩაითვალოს სასულიერო წოდებაო.

საგარეო ვაჭრობის განვითარება. აგვისტოს 6 ტფილისიდან ბათომ გაემგზავრენ: ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. დ. ავალიანი, საბიუჯეტო ნაწილის გამგე ა. ნ. კანდელაკი და საბაჟოების ნაწილის გამგე ზ. მ. მიქაძე. აღნიშნულ პირთა ბათომში გამგზავრების მიზანს შეადგენს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა დათვალიერება და აგრეთვე ადგილობრივად მოწესრიგება იმ საკითხებისა, რომლებიც საქართველოს საგარეო ვაჭრობასთან არის დაკავშირებული.

ხაზინების რევიზია. ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო სახაზინო ნაწილის უფროსის ა. კანდელაკის განკარგულებით—სოხუმის, ფოთის, სენაკის, შორაპნის, ჭიათურის, შულავერის, ახალციხის და ახალქალაქის ხაზინების რევიზია მოხდა. რევიზიამ გამოარკვია, რომ ყველა ოპერაციის ანგარიში და თანხის შენახვა სასურველ სიმაღლეზე არის დაყენებული. ამ ჟამად ტფილისის ხაზინის რევიზიას ახდენენ.

საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტი. სავაჭრო-სამრეწველო პალატამ ქალ. ტფილისის საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლების კომიტეტის წესდებანი განიხილა. საკითხის განხილვის შემდეგ პალატა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ასეთი კომიტეტის არსებობა გამოწვეულია თვით ცხოვრების საჭიროებით და ამიტომ დაადგინა: მიმართოს ფინანსთა მინისტრს შუამდგომლობით წესდების პროექტის სასწრაფოდ დამტკიცების შესახებ. პალატა ფიქრობს წესდების ერთი მუხლის შეცვლას იმ აზრით, რომ კომიტეტის წევრებად შეუძლია იყოს ქალ. ტფილისის ყველა მოკლე ვადიან კრედიტის დაწესებულებას, რომლებიც კი არსებობს თანახმად დამტკიცებულ წესდებისა.

პურის კანტორა. ქალ. თვითმართველობის სასურსათო განყ. აგვისტოს 9 მოედანზე გახსნა პურის კანტორა იმ მიზნით, რომ ტფილისში გლეხების მიერ გატანილ პურს რეგისტრაცია გაუკეთოს. კანტორა რეგისტრაციას უკეთებს აგრეთვე ყველა პიროვნებას, რომელიც ამ პრრს შეეხება. ამგვარ კანტორებს გახსნიან აგრეთვე სხვა და სხვა ადგილას.

მისალმება. ფოთის გადამტვირთველ მუშების პროფესიონალურ კავშირმა ფოთში მუშათა სასახლის საფუძვლის ჩაყრის გამო დამფუძნებელ კრების სოც. დემოკრატიულ ფრაქციის თავჯდომარეს აკაკი ჩხენკელს მისასალმებელი დეპეშა გამოუგზავნა.

თეატრალური ქრონიკა.

სახელმწიფო დრამატიული დასი.

სახელმწიფო თეატრის კომისარი იუწყება, რომ მომავალ თეატრის სეზონისათვის შედგენილია ქართული დრამატიული დასი, რომელიც არტისტიულ საზოგადოების თეატრში ითამაშებს. ეს დასი იქნება სახელმწიფო. დასი უკვე შეუდგა ზოგიერთ პიესების მზადებას. სეზონი შ. შარაშიძის პიესით „ავგაროზით“ გაიხსნება.

მხატვარმა შარლემანმა სახელმწიფო თეატრის მმართველობას ფარდის ახალი პროექტი წარუდგინა.

ქალაქთა კავშირში

ელექტრონის სადგური.

ქალაქთა კავშირის კომიტეტმა წინადადება მისცა თავმჯდომარის ამხანაგს მ. რუსიას მოიწვოს შეერთებული კრება ტფილისისა და კოჯორის ქალაქის თვითმართველობათა წარმომადგენლებისა ტფილის-კოჯორს შუა საელექტრონო გზის გაყვანის შესახებ მოსალაპარაკებლად.

საულელტეხილო გზა.

ქალაქთა კავშირმა დაადგინა დაუგზავნოს რესპუბლიკის ყველა ქალაქს ცნობისათვის ქალაქთა მესამე ყრილობის რეზოლიუცია ქუთაისი-ბესლან-კოპიტნარის შუა საულელტეხილო გზის გაყვანის შესახებ.

რკინის გზაზე

ტფილისი—ერევანი.

საქართველოს რკინის გზების სამმართველომ სომხეთის რკინის გზის სამართველოს განკარგულების შემდეგი ასლი მიიღო: მინისტრის განკარგულებით აგვისტოს 8, განსაკუთრებულ განცხადების გამოცემამდე წყდება პირდაპირი მიმოსვლა ტფილისს—ერევანს შორის. უკანასკნელი მატარებლები გამოვა ტფილისს და ერევანიდან აგვისტოს 6. შემდეგ მე-3 და 4 კლასის ვაგონის სამგზავრო მატარებლები ივლის კვირაში სამჯერ ერთი მიბმით. ტფილისიდან პირველი მატარებელი გავა კვირას, მეორე სამშაბათს, მესამე პარასკევს. სად. სანაინიდან საქონლის მატარებლები გავა ერევანში სამგზავრო მატარებლების გასვლის შემდეგ. ამ განკარგულების მიხედვით საქარ. რკინის გზის უფროსმა სომხეთის რკინის გზის უფროსს აუწყა ტფილისი-ერევანს შორის საფოსტო მატარებელთა მიმოსვლის შეწყვეტის შესახებ.

გზათა უწყების სამინისტრო იტყობინება, რომ განზრახულია აღადგინონ ტფილის-ბათომს შორის სასწრაფო მატარებლების მიმოსვლა, რომელიც ადერბეიჯანის ომის დროს შეწყვეტილი იყო. ამასთანავე შეწყვეტილ იქნება საგანგებო მატარებლების მიმოსვლა.

მარგანეცის გატანა.

ჯილდო დატვირთვისათვის და გამოტვირთვისათვის.

შავი ქვის მრეწველთა კომიტეტის თავმჯდომარემ მიმართა „ჩემო“ს საზოგადოებას წინადადებით დააწესოს ჯილდო რკინის გზის იმ მოსამსახურეთათვის, რომლებიც ასრულებენ განსაზღვრულ მოვალეობას, რომელიც მარგანეცის გადაზიდვასთან არის დაკავშირებული. ამასთანავე „ჩემო“ს საზოგადოებამ უნდა მიიღოს თავის თავზე იმ ხარჯების გასწორება, რომელიც ამ ჯილდოს დაწესებით იქნება გამოწვეული.

„ჩემო“ს საზოგადოებაში იუწყებიან, რომ ამ ჟამად ფოთში მარგანეცით ინგლისის, ჰოლანდიის, იტალიის და ამერიკის გემები იტვირთებაო. მოკლე დროში მოელიან 4 უცხოელთა გემის მოსვლას, რომლებმაც 20.000 ტონი მარგანეცი უნდა გაიტანოს.

მუშათა დელეგაცია.

მუშათა დელეგაციის დელეგატებმა საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებთან თათბირის დროს დაადგინეს: აცნობონ დელეგაციის ყველა წევრს და კანდიტატს, რომ აგვისტოს 10 სამშაბათს, საბჭოს ბინაზე მუშათა დელეგაციის სხდომა არის დანიშნული. სხდომის მიზანს შეადგენს წინასწარ მუშაობის გეგმის გამორკვევა, რომელიც გამგზავრებასთან არის დაკავშირებული. ყველა დელეგატი და კანდიტატი ვალდებულია ამ კრებას დაესწროს.

პროფ. კავშირთა საგზაოში.

აგვისტოს 7 ტფილისის პროფ. კავშირთა პლენუმის სხდომაზე მომრიგებელ კამერის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა კამერის მუშათა ფრაქციის თავმჯდომარემ ი. ჩხარტიშვილმა. მომხსენებელმა ხაზი გაუსვა მას, რომ კამერამ დიდი როლი ითამაშა შრომისა და კაპიტალის მოწესრიგებისა და სხვა საქმეშიო. კამერის დაარსებიდან 1920 წლ. ივლისამდე შესულა 1878 საქმე განაჩენი გამოუტანიათ 1.247 საქმის შესახებ. იმ თანხის რაოდენობა, რომელიც კამერას გადასახდელათ მიუსჯია 1918 წ. უდრიდა 500.000 მან. 1910 წ. 600.000 და 1920 წ. 3 მილ. მანეთს. პროფ. კავშ. პლენუმმა დამაკმაყოფილებლად იცნო მომრიგ. კამერის მოქმედება და დაადგინა: წინადადება მისცენ შრომის სამინისტროს, რომ მან დააჩქაროს კამერის დაკანონება. ამავე სხდომაზე ამოირჩიეს კამერის მუშათა სექციის დანარჩენი წევრები. ამორჩეულია: მელქაძე, მამალაძე, ჯინჭარაძე და თავართქილაძე.

სატარიფო პალატის ცირკულიარი.

6 აგვისტო.

ყველა მუშათა და მწარმოებელთა ორგანიზაციებს, სახელმწიფო დაწესებულებათა და წარმოებათა უფროსებს, საქალაქო და საოლქო თვითმართველობებს, მომრიგებელ კამერებს, შრომის სამინისტროს რწმუნებულებს და კომისრებს სატარიფო პალატამ შემდეგი ცირკულიარი დაუგზავნა:

„სატარიფო პალატის 1920 წ. 23 ივლისის დადგენილების § 12 ის ძალით ერთდროულ დ ხმარების შესახებ სატარიფო პალატის პრეზიდიუმი განმარტავს:

1) იმ მუშებს, რომელნიც წარმოებაში მუშაობენ მუდმივათ, მაგრამ სამუშაოს თავისებურ ხასიათის გამო მუშაობენ თვეში 25 დღეზე ნაკლებს, 23 ივლისის დადგენილების § 4-ის თანახმად, უფლება აქვთ მიიღონ ერთდროული დახმარება.

2) იმ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც ფაქტიურათ შესწყვიტეს მუშაობა, მაგრამ განაგრძობენ ხელფასის მიღებას იმ მიზეზით რომ მწარმოებელს უფულობის გამო მათთვის ჯერ ანგარიში არ გაუსწორებია, აქვთ უფლება მიიღონ ერთდროული დახმარება მხოლოდ მუშაობის შეწყვეტის დღემდე.

3) სალიკვიდაციო ჯილდოს განსაზღვრის და ზედმეტ სამუშაოსათვის ჯილდოს მიცემის დროს ერთდროული დახმარება ძველებლობაში არ მიიღება.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე ი. ჯალდ ნი.

მდივანი ი. ტრეიმანი.

ბათომი

მუშათა დელეგაცია ბათომში.

ბათომში ჩამოვიდა მუშათა დელეგაცია ხელაძის მეთაურობით. ტფილისის მუშათა წარმომადგენლებს სადგურზე შეხვდენ ბათომის მუშები. ბათომის სახალხო გვარდიელთა რაზმი კვაშალის მეთაურობით გამწკრივებული იყო სადგურის ბაქანზე. მოსულ ამხანაგებს მისასალმებელი სიტყვით შეხვდა ბათომის პროფ. კავშირის თავმჯდომარე აიოლო. მას პასუხი გასცა ა. ხელაძემ.

ყირიმიდან მიღებული ცნობები.

ყირიმიდან მიღებულია შემდეგი ოფიციალური ცნობები გენ. ვრანგელის სამხედრო მოქმედების შესახებ. 3 აგვისტოს ცნობით მარიუპოლის მიმართულებით სიწყნარეა. ჰოლოგის მიმართულებით ორეხოვის რაიონში ჩვენი ჯარის წარმატებითი ბრძოლა ვითარდება. ჩვენი ჯარის ნაწილებმა ღამით ბრძოლაში სავსებით გაანადგურა წითელთა ცხენოსანი ჯარი, ხელთ ვიგდეთ 8 ზარბაზანი. უკუქცეულ მტრის ცხენოსანთა ჯარის დადევნება გრძელდება. ალექსანდროვის მიმართულებით ხელთ ვიგდეთ ახალი ნადავლი. მარიუპოლისა და გოლნოვახის მიმართულებით სიწყნარეა. ჩაპლინის მიმართულებით 8 დღის ბრძოლის შემდეგ [illegible]ერი გავანადგურეთ. ხელთ ვიგდეთ 4 ათასი ტყვე, 38 ზარბაზანი, 4 ჯავშნიანი მატარებელი და სხვა. ჩვენი გამარჯვების გამო ჩრდილოეთ კავკასიიდან, უკრაინიდან და დონიდან ჩვენს მხარეზე ვადმოსულთა რიცხვი იზრდება. მოვიდა ცნობა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყების შესახებ.

ს. ავალიანის ჩასვლა ბათომში.

ბათომში ჩამოვიდა ფინანსთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი ს. ავალიანი და საგანგებო კომისარი ბ. ჩხიკვიშვილი.

სესხი ქალაქების სასურსათო ოპერაციებისათვის

მთავრობამ 3 აგვისტოს სხდომაზე განიხილა ტფილისის ქალაქის თვითმმართველობის შეკამდგომლობა სასურსათო ოპერაციების გაფართოებისათვის 50 მილიონ მანეთის უპროცენტო და ხანგრძლივი სესხის მიცემის შესახებ. ქალაქის თვითმმართველობა აღნიშნავს, რომ სასურსათო საკითხის საერთოდ გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ტფილისი, რომელიც თავის ცენტრალურ მდგომარეობის გამო ფასების დაწესებაში ახდენს გავლენას რესპუბლიკის სხვა ქალაქებზე. მაგალითმა გვიჩვენა რომ ქალაქის მონაწილეობამ მცხოვრებლებზე სურსათის მიწოდებაში შესამჩნევი გავლენა იქონია ბაზარზე. ფასების ზრდა არამც თუ შეჩერდა, არამედ დაეცა კიდეც. ახლა ზოგიერთ საქონელზე ფასების აწევა შედეგია ვალიუტის გაძვირებისა. დღემდე საკვებო ოპერაციებისათვის ქალაქი მიმართავდა კერძო ბანკების სესხს, რაც იწვევდა საქონლის გაძვირებას, მაშინ, როდესაც ყოველი ზომა უნდა იქმნას მიღებული მის გასაიაფებლად. შემდეგ ქალაქის თვითმართველობა დაწვრილებით ჩამოთვლის იმ სანოვაგეთ, რომელიც უნდა შეისყიდოს ქალაქმა; ამათ რიცხვში შედის: შეშა, რძის პროდუქტი, ხორცი, ხორბალი, კარტოფილი და სხვ. სულ 110 მილიონის ხორბალი უნდა იქმნას შეძენილი, თუმცა ქალაქის თვითმართველობა კი კმაყოფილდება 50 მილიონ მანეთის სესხით. მსჯელობის შემდეგ მთავრობამ დაადგინა მისცეს ტფილისის ქალაქის თვითმართველობას აღნიშნულ რაოდენობის სესხი 2 წლის ვადით 5%. ეს თანხა უნდა დაიხარჯოს სახელმწიფო კონტროლის მეთვალყურეობით. შესაფერისი დეკრეტი შეტანილ უნდა იქმნას დამფუძნებელ კრებაში.

ბანცხადებანი

1920 წ. მაისის 11-ს ტფ. უფროსმა ნოტარუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გედევანოვმა მიჰყიდა მოსე, ივანე, მიხეილის ესტატეს ძე ხიზანიშვილებს, ალექსი აღდგომელოვს და ნიკოლოზ სოსიკოს ძე ჯავახიშვილს, 15000 მანეთათ 3 ნაწილი მიწის, 1) ქვეშ № 253, ზომით 760 ოთხ. საჟენი, 2) ქვეშ № 289, ზომით 790 ოთხ. საჟენი და 3) № 256 ბ ზომით 2090 ოთხ. საჟენი მდებარე სოფ. სასხორში, გორის მაზრა.
1029 1—1

დაიკარგა ნაკლადნაია ბაქო-ტფილისი № 6418-610 ფუთი ნავთზე, რომელიც ეკუთვნდა დ. დიაკოვს და ამ უკანასკნელის მიერ მიყიდული იყო ტრესტერისადმი. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2141 3—2

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი დიმიტრი ივანეს ძე პაპოვის სახელზე, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2143 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა სურათით ივანე მიხეილის ძე ლეზინის სახელზე, მიღებული რუსეთის ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2137 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 65 10 უბ. უმცროსი მილიციონერის ალექსანდრე დომენტის ძე კანდელაკის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2140 3—3

დაიკარგა ჯარში გასაწვევ ნაწილზე მიწერილობის მოწმობა № 1716 კონსტანტინე მიხეილის ძე გედევანიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2191 3—3

დაიკარგა პასპორტი № 8095 ანა ილარიონის ასული რუდინსკის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2134 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა რავინ თურქიას სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2136 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 6026 აკოფ ივანეს ძე ტერ-აკოფიანის (იგივე შარუხიანცი) სახელზე. მიღებული ტფ. პოლიცმეისტერის სამმართველოდან 1908 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2221 3—3

დაიკარგა პასპორტი № 24 იულია მიხეილის ასული ტაიროვას სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩითვალოს. 2153 3—2

1920 წ. მაისის 13-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე სოლომონ მერაბის ძე მეძმარიაშვილმა მიჰყიდა ივანე დავითის ძე გიგოლაშვილს 10000 მანეთათ ნაწილი ნაკვეთი მიწის, ზომით 100 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-6 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 868. 1020 1—1

1920 წ. მაისის 14-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ვარვარა ზაქარიას ასულმა მინადორაშვილისამ მიჰყიდა ივანე ნიკოლოზის ძე გულუაშვილს ორმოცდა თვრამეტ ათას მანეთათ ორი ნაკვეთი მიწა ზომით ერთი ცხრა და მეორე ოცდათორმეტი ოთხკუთხ. საჟენი მდებარე მეშვიდე უბანში. ქ. ტფილისში შამხორის შესახვევში და ფერისცვალების ქუჩაზედ ქალაქის № 1214 1047 1—1

1920 წ. მაისის 14-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ვავან გიორგის ძე, ნინა, ჯავიარა გიორგის ასულ, ერვანდა გიორგის ძე ეკატერინა სერგოს ასულმა მურადოვებმა და ანნა გიორგის ასულმა ტერ-აკოფოვისამ მიჰყიდეს რეპელა იოსების ძე კუზერაშვილს სამას ოცი ათას მანეთათ ერთი ნაკვეთი მიწა შენობებით, ზომით ორმოცდა ერთი ოთხ-კუთხი საჟენი, მდებარე მეხუთე უბანში ქ. ტფილისში, არღუთინკის ქუჩაზედ ქალაქის № 182 1017 1—1

1920 წ. მაისის 24-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა, დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგორი გეურჭას ძე ტერ-ავეტის ანცმა მიჰყიდა ელიზავეტა მოსეს ასულს არცრუნს ოთხას ოთხმოცდა ათი ათას მანეთათ ნაკვეთი მიწის შენობებით ზომით ას ორი ოთხკუთხი საჟენი და ხუთი არშინი მდებარე მეორე უბანში ქ. თბილისში მეექვთი ქუჩაზედ ქალაქის № 742. 1146 1—1

1920 წ. მაისის 24-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ელისაგედ მოსეს ასულმა არცრუნმა მიჰყიდა გარეგინ გიორგის ძე ნონიევს ოთხასი ათას მანეთათ ნაკვეთი მიწის, შენობებით ზომით 15 ნახ. ოთხკუთხი საჟენი მდებარე მეოთხე უბანში ქ. ტფილისში, ვანქის შესახვევში ქალაქის № 149, 1445 1—1

1920 წ. მაისის 21-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქალაქე აგრაფინა �როდიონის ასულმა დიევევინისამ მიჰყიდა მოქალაქე ევდოკია მათვეის ასულს ლუკიანოვისას 300 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 27 ოთხკ. საჟენი მდებარე ძე-7 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 674 1104 1—1

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა სასყიდობის სიგელი რომლითაც მიხეილ გიორგის ძე კიკნაძემ მიჰყიდა პეტრუსა ალექსის ძე მარკაროვს და იოსებ გლახას ძე ზამუკოვს ოთხმოცი ათას მანეთათ ერთი ნაკვეთი მიწის შენობებით ზომით ორმოცდა და ორი მთელი და ორმოცი მეასედი ოთხკუთხი საჟენი, მდებარე მერვე უბანში ქ. ტფილისში, რიყის და დესიმონოვის ქუჩებზედ ქალაქის № 843.
1137 1—1

1020 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ელისაბედ ივანეს ასულმა და თომა იოსების ძე ხუციშვილებმა მიჰყიდეს რაფაელ ხაჩატურას ძე რაფაელიანცს ოთხას ორმოცი ათას მანეთად ერთი ნაკვეთი მიწის შენობებით ზომით ოთხმოცდა ოთხი ოთხკუთხა საჟენი, მდებარე მეათე უბანში ქ. ტფილისში სტრელკოვის ქუჩაზედ. ქალაქის № 374
1103 1—1

1920 წ. მაისის 25-ტფილისის უფროს ნოტარიურიუსაგან იქმნა ჩანიშნული სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა გორის მაზრის წიგნებში, წებზედებული ტფილისის ნოტ. მაჰავარიანისაგან 30 იანვარს 1920 წელს რომლითაც ეფენდი მამედ ეფენდიევმა შეიძინა 3.300 მანეთათ საჯარო ვაჭრობიდან ნაკვეთი მიწის ზომით 600 ოთხკ. საჟენი, (14 დესეტ.) მდებარე ქალაქ ხაშურ-მიხაილოვში რომელიც ეკუთნოდა ორასიმ ხაჩატურის ასულს ტანაკაპოვისას 1211 1—1

1920 წ. მაისის 24-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქ. სტეფანე ალექსის ძე დანდაროვმა მიჰყიდა ალექსანდრე ლევანის ძე აბაზაშვილს 32.000 მან. ნაკვეთი მიწის ზომით 96 11 ოთხკ. საჟ. მდებარე 1 უბანში ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 1631. ქვეშ.
1127 1—1

1920 წ. მაისის 14-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე გედევანოვმა მიჰყიდა მოსე, ივანე, მიხეილ ესტატის ძეთ აიზანაშვილებს, ალექსი აღდგომელის ძე და ნიკოლოზ სოსიკოს ძე ჯავახიშვილს 15000 მანეთათ ნაწილი მიწის, 1) ქვეშ № 253, ზომით 760 ოთხკუთხიანი საჟენი 2) № 289, ზომით 790 ოთხკუთხიანი საჟენი და 3) ქვეშ № 255 ბ ზომით 2090 ოთხკუთხიანი საჟენი, მდებარე სოფსასხორი, გორის მაზრა.
1038 1—1

1920 წ. მაისის 8-ს ტფილისის უფროსი ნოტარიუსისაგან ჩანიშნულ იქმნა სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ნასყიდობის მოწმობა შემზადებული თელავის ნოტარ. პოზოევისაგან 1919 წ. მაისის 24 ს რომლითაც გეორგი თომას ძემ დადუნდარაძემ შეიძინნ 34 მანეთათ საჯარო ვაჭრობიდან მოხდენილი თელავის მომრიგებელ სასამართლოს განყოფილებაში 15 ნოემბერს 1916 წელს ნაკვეთი მიწა ზომით სიგრძეთ ჩრდილოეთის მხაოეს—7 საჟ. შემდეგ უხვევს სამხრეთისკენ—1 ნახ. სიგრძეთ—2 საჟ. სამხრეთის მხარედან 9 ნახ. საჟ. სიგანით აღმოსავლეთით—5 საჟენი და 1 არშ. დასავლეთით—6 საჟ. და 1 მეოთხ. არ. მდებარე ქალაქ თელავში რომელიც ეკუთნოდა ფირუზ ახპატლოვს. 1083 1—1

1920 წ. მაისის 19-ს ტფ. უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ნადეჟდა მიხეილის ასულმა კოლუბაკინმა მიჰყიდა გრიგორ გიორგის ძე ბერიძეს 1000000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 1 დესეტინა, მდებარე ქ. კოჯორში, ტფილისის გუბ. ქალაქის № 106 და 107.
1100 1—1

1920 წ. მაისის 18 ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც სედრაკ არტემის ძე აიკანუშ ბეგლარის ასულმა შაქაროვებმა მიჰყიდეს არშაკ ავაკის ძე ოგანესოვს 7000 მან. ნაწილი მიწის, ზომით 103 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-8 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 1271 ა. 1069 1—1

1920 წ. მაისის 13-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მიხეილ გეურქის ძე ჩხოტუამ, მიჰყიდა ალექსანდრე სიკოს ძე ენუქიძეს 77000 მანეთათ, ნაწილი მიწის, ზომით 770 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე-13 უბანში ქალაქ ტფილისში, ქალაქის № 322. 1019 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვლადიმერ გიორგის ძე ელკანაძის სახელზე, მიღებული კავკავში საქართველოს კონსულისაგან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2146 3—2

დაიკარგა პასპორტი № 3838 ანტონი მიხეილის ძე კურპელის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2102 3—3

დაიკარგა სამხედრო ნუსხა № 213 ივანე ალექსის ძე ჯევანაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2151 3—2

დაიკარგა შინაური პირობა მიცემული ტერეზია ანტონის ასული ბოიახჩევის მიერ იოსებ სერგოს ძე შარტოვის სახელზე დ. მცხეთაში მდებარე 200 ოთხ. კუთ. საჟენ მიწის ამ უკანასკნელისადმი მიყიდვის შესახებ.
2129 3—3

დაიკარგა საპენსიო წიგნაკი ელენე მაქსიმეს ასული მატარაძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობის სამხედრო განყოფილებიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2157 3—1

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის ბილეთი № 359 სარქის მანუკოვის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2158 3—1

დაიკარგა პასპორტი ვაგარშაკ სერგოს ძე ვართაპეტოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2162 1—1

დაიკარგა ტფ. კომერციულ სასწავლებლის 1910 წ. დამთავრების ატესტატი კრვანდ ბეგლარის ძე ავაკიანცის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2165 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა სევერიან სეილანის ძე ლომაძის სახელზე, მიღებული მე-11 ბათალიონის უფროსისგან. გაუქმებულად ჩაითვალოს.
2152 3—1

დაიკარგა სიმწიფის ატესტატი კონსტანტინე ნიკოდიმის ძე ბალუსკის სახელზე, მიღებული ბათომის ვაჟთა გიმნაზიიდან 1917 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2144 3—2

1920 წ. მაისის 24-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქ. სოფიო ივანეს ასულმა დათაშვილმა მიჰყიდა მიხაილ ისაკის ძე ჭინჭარაძეს 900 მანეთათ ნაკვეთი მიწისა, ზომით 75 ოთხკ. საჟ. მდებარის ქ. ტფილისში მე-8 უბანში, ქალაქის № 1129 ქვეშ.
1031 1—1

1920 წ. მაისის 24 ს ტფილისის 24-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მოქ. ალექსანდრე ლევანის ძე აბაზომა მიჰყიდა კონსტანტინე დარისპანის ძე ვევლიშვილს 60.000 მანეთათ ნაწილი მიწისა ზომით 50 ოთხ. საჟ. მდებარე ქ. ტფილისში 1 უბანში, ქალაქის № 2057 ქვეშ. 1126 1—1

1920 წ. მაისის 21-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც ვასილ პავლეს ძე კობოზოვმა და ოგანეზ ავეტისის ძე სიმონიანცმა მიჰყიდეს ატატო დავითის ასულს კაკაბაძეს 180000 მანეთათ ნაკვეთი მიწის, ზომით 121 ოთხკ. საჟენი, მდებარე 1 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის № 176. 1068 1—1

1920 წ. მაისის 21-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი რომლითაც მორუხ ფიშელ ეხლიევის ძე შეინმანმა მიჰყიდა ალექსანდრე გრიგორის ძეს და ელისაბედი სიმონის ასულ ეგეზოვებს ეძრავი მამული მდებარე 1-ლ უბანში ქალაქ ტფილისში ქვეშ № 1907, ზომით 60 43 ოთხკ. საჟენი, 510,000 მანეთათ.
1092 1—1

1920 წ. მაისის 17-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც ოლლა ივანეს ასულმა თადეოზ, მარიამ, და რუბენ არუტინოვეებმა ვართპეტრიკოვებმა სბრუი არუტინას ასულმა სტეფანიანცმა და რუზანა არუტინას ასულმა შახნაზაროვისამ მიჰყიდეს გაბრიელ გლახას ძე რუხაძეს და საბა დანიელის ძე მელკაძეს 70000 მან. ნაწილი მიწის, ზომით, 1944 ოთხკ. საჟენი, მდებარე მე 5 უბანში ქალაქ ტფილისში ქალაქის ქვეშ № 1190.

1920 წ. მაისის 19-ს ტფილისის უფროსმა ნოტარიუსმა დაამტკიცა ნასყიდობის სიგელი, რომლითაც მოქალაქე ლევან როსტომის ძე კობახიძემ მიჰყიდა ნინა გეორგის ასულს აბაზაძისას 4000 მანეთათ ნაწილი მიწის, ზომით 610 ოთხკ. საჟენი, მდებარე სურამში გორის მაზრაში. 1090 1—1

მიწათ-მოქმედების სამინისტროს საჯარო განყოფილება ამით აცხადებს,

რომ ხუთშაბათს ამა წლის 12 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე ხსენებულ განყოფილებასთან დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ტფილისში მყოფ ხუთი სახელმწიფო გოგირდის აბანოს იჯარით გაცემის შესახებ ინვენტარითურთ სახელდობრ: „გოგირდისი", ყოფ. მურსალოვისა, ყოფ. თამამშევისა, ყოფ. იოდიგაროვისა და ყოფ. ჩითახოვისა. ხსენებული აბანოების იჯარით გაცემის შესახებ პირობების და დაწვრილებით ცნობების გაგება და კონდიციების დათვალიერება შეიძლება საჯარო განყოფილებაში ყოველ დღე დილის 11 საათიდან ხუთშაბათ-დღევის 2 საათამდე. 809 1—1